

განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა

(2013-2018)

I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ძირითადი საფუძვლები, წინაპირობები, მიზნები და ამოცანები

განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა

წინამდებარე განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (შემდგომში - სტრატეგიული გეგმა) შემუშავებულია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი) მისიის შესაბამისად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე. სტრატეგიული გეგმა აერთიანებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა;

- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური განვითარება ობიექტურად განპირობებული, მიზანმიმართული, შეუქცევადი, რაციონალურად დაგეგმილი პროცესების შედეგად;

- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური განვითარება სისტემის ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რის წინაპირობას და საფუძველს წარმოადგენს ის ინოვაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო უნივერსიტეტის ოპტიმალურ და მდგრად განვითარებას.

დღეისათვის სასწავლო უნივერსიტეტი არის თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მათ შორის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და მოწყობილობებით აღჭურვილი სასწავლო კორპუსი, ბიბლიოთეკა და სხვ.), ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი – აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები და სხვ. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც აერთიანებს სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ფონდებს. თუ ადრე სასწავლო უნივერსიტეტს შეეძლო წარმატებული ფუნქციონირება საკუთარი შიდა პოტენციალის რაციონალური გამოყენების შედეგად, თანამედროვე პირობებში დადგა სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირების რეაქტივიზაციის განვითარების რეჟიმში გადასვლის აუცილებლობა. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალის არსებული მდგმარეობა, საქმიანობის

აკრობი-რებული გამოცდილება და სასწავლო უნივერსიტეტის ფართო კავშირები მიმართულია სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაღალპროფესიული დონის მიღწევაზე, მათი სამოქალაქო და ზნეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რაც ასევე საფუძველს უქმნის სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომ მდგრად განვითარებას.

განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნები

- სასწავლო უნივერსიტეტის ფორმირება მსოფლიო დონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე განათლების მქონე კადრების მდგრად მომზადებას, რაც ხდება მეცნიერების, საგანმანათლებლო და ინოვაციური საქმიანობის ინტეგრაციის საფუძველზე;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ორიენტაცია მსოფლიო დონის ინოვაციების გათვალისწინებასა და დანერგვაზე;

განვითარების სტრატეგიული გეგმის ამოცანები

- სპეციალისტების მომზადება მიზნობრიობის, სპეციალობა/სპეციალიზაციაზე ორიენტირებულობის და შერჩევითობის პრინციპების გათვალისწინებით და თანამედროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების დანერგვით;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მენეჯმენტის დახვეწა, საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ეფექტურობის ამაღლება;
- ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის უზრუნველყოფა;
- ცოდნის გავრცელება და პიროვნების ინტელექტუალური, კულტურული და ზნეობრივი განვითარების მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
- სტუდენტში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციის და დემოკრატიის პირობებში შრომის და ცხოვრების უნარის ჩამოყალიბება-განვითარება;

- სასწავლო უნივერსიტეტის კორპორატიული კულტურის და საკადრო პოტენციალის განვითარება.

სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის რეალიზაცია მიმართულია ახალი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნაზე და მის ერთიან საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციურ და ინფორმაციულ კომპლექსად ჩამოყალიბებაზე. განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულება მოხდება ორ ეტაპად:

- I ეტაპი (2013-2015 წწ.) - ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ინოვაციური სისტემის შექმნა, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სამეცნიერო სფეროების სრულყოფა და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

- II ეტაპი (2016-2019 წწ.) – ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც ახალი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბების დასრულება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მისიის წარმატებულ რეალიზებას და სასწავლო უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

II. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განვითარების სტრატეგიული გეგმები

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოიაზრება სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განვითარების პროგრამები:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა

მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიუმი უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს მისი თვისობრივი მაჩვენებლების ზრდას სასწავლო პროცესის ორგანიზებაში თანამედროვე მიღწევების ინტეგრაციისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

ამოცანები

- განათლების შინაარსის განახლება და სრულყოფა მისი ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილის გაძლიერების, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციის საფუძველზე;

- საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ოპტიმიზაცია არსებული სტანდარტების და სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკის შესაბამისად;
- კურსდამთავრებულთა დამსაქმებლებთან კაშირების გაძლიერება მათი მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის და ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის სრულყოფა, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტურობის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის სინფორმაციო უზუნველყოფის ეფექტური თანამედროვე სისტემის შექმნა, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის მხარდაჭერას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის (მათ შორის, ელ. მატარებ-ლე-ბ-ზე) არსებობით;
- სასწავლო უნივერსიტეტის პოზიციების გაძლიერება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა, რაც მი-მართულია საკადრო პოტენციალის ეფექტური გამოყენების გარზრდაზე;
- სტუდენტთა ცოდნის და სწავლების ტექნოლოგიების კონტოლის სისტემის სრულყოფა, ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების ხელეწყობა.

გასატარებელი ღონისძიებები

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებში ახალი თაობის კონკურენტუნარიანის კადრების მომზადება:

- საერთაშორისო და საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებების მონიტო-რინ-გი;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება, მოდიფიცირება, ახალი საგანმანათლებლო პროგ-რა-მე-ბის შემუშავება და ამოქმედება;

- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და გამოყენება;

- ახალი თაობის სასწავლო გეგმების მომზადება, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობის გაზრდას, სტუდენტთა ცოდნის კონტროლის სისტემის და სწავლების ტექნოლოგიების სრულყოფას;

- ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვას;

- სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური სტრუქტურების ოპტიმიზაციის კომპლექსური ღონისძიებების გატარება არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საგანმანათლებლო საქმიანობის მენეჯმენტის ეფექტური სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ახალი სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შემუშავება და დანერგვა, რომლებიც ორიენტირებული იქნება კურსდამთავრებულების კომპეტენციების ამაღლებაზე საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების, მეცნიერების, ტექნოლოგიების და ტექნიკის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

- თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზება და სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვა. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;

- აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება ინოვაციური სამეცნიერო კლევების და მიღწევების გათვალისწინებით და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მეცნიერების, დარგის სპეციალისტების და დამსაქმებლების უფრო ინტენსიური მონაწილეობით;

- სასწავლო უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სოციალური სფეროს განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, საინფორმაციო რესურსების განვითარება და სასწავლო პროცესში მათი გამოყენების უფრო ინტენსიური გამოყენება;

- კურსდამთავრებულთა განათლების ხარისხის და მომზადების დონის მონიტორინგის სისტემის განვითარება. აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური სისტემის შექმნა;

- საქართველოს პრიორიტეტების, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და ადამიანური რესურსების პროფესიული კომპეტენციების განვითარება;

- ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი. კურსდამთავრებულთა დასაქმების სისტემის განვითარება;

- შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად კადრების მომზადების და გადამზადების პროგრამების დახვეწა, მათი სპექტრის გაფართოება სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

- კურსდამთავრებულთა მომავალი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, შრომის ბაზრის პერსპექტიკული მმართველების შესაბამისად ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების შინაარსის დახვეწა, კონკრეტული კომპონენტის გაუქმება ან/და ახალი კომპონენტების დამატება;

- პოტენციური დამსაქმებლების აქტიური ჩართვა კურსდამთავრებულთა კომპეტენციების მოდელის ფორმირების პროცესში;

- პოტენციური დამსაქმებლების აქტიური ჩართვა სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტების და კურსდამთავრებულთა განათლების ხარისხის რეგულარული შეფასების პროცესში.

- საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის რეგულარული შეფასება.

პროგრამის რეალიზაციის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;

- ადამიანური რესურსები;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის გაფართოება-სრულყოფა შეძენილი და სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორების მიერ მიწოდებული მოწყობილობების და აღჭურვილობის ბაზაზე;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განახლება-სრულყოფა;

- საინფორმაციო რესურსების აქტუალიზაცია სასწავლო, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო, საცნობარო ფონდების, მულტიმედიური პროგრამების, აუდიო და ვიდეომასალების ყოველწლიური განახლების გზით;

- აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება, რომელიც გაითვალისწინებს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივებს და არსებულ ინოვაციებს;

- მრავალსაფეხურებრივი უწყვეტი განათლების სისტემის შენარჩუნება და განვითარება;

- საგანმანათლებლო სფეროში სასწავლო უნივერსიტეტის პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფის პროცესში სტუდენტების და სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პირების ჩართულობის გაზრდა;

- სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა და სააუდიტორიო ფონდის რაციონალური გამოყენების კონტროლი;

- განათლების ხარისხის მენეჯმენტის ეფექტური სისტემის შექმნა-განვითარება არსებული საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით;

- სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

- სასწავლო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფის მაჩვენებლების გაზრდა;

- სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის ანაზღაურების მასტიულირებელი სისტემის შემუშავება;

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- აბიტურიენტთა კონკურსი (მსურვეთა რაოდენობა/ვაკანტური ადგილები);
- სტუდენტების საერთო რაოდენობა;
- უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების საერთო რაოდენობის აბიტურიენტთა კონკურსში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობასთან თანაფარდობა;
- სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხულის სხვა უსდ-ის სტუდენტების რაოდენობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა;
- აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა და მისი შემადგენლობა;
- საზღვარგარეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტაჟირების, საერთაშორისო ტრეინინგებში და კონფერენციებში მონაწილე აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების საერთო რაოდენობა და მათი წილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობაში.

2. სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პოტენციის რეალიზება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და სამეცნიერო (მათ შორის, საერთაშორისო) თანამშრომლობის გაფართოება; მსოფლიო სამეცნიერო თანამეგობრობაში ინტეგრირება.

პროგრამის ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მუშაობის ინტენსიფიკაცია, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების და ტრეინინგების ჩატარება, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაციონალური და სრულფასოვანი გამოყენება;
- სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ახალი აქტუალური მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;

- სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო აქტივობის სტიმულირება, სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-ტექნიკური კრებულების გამოცემა;

- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ეფექტური განვითარება;

- პრიორიტეტული მიმართულებებით სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომი განვითარება ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნის გზით;

- ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება და აღჭურვა;

- ინტელექტუალურ საქმიანობის შედეგების სამართლებრივი დაცვა;

- სპეციალისტების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

გასატარებელი ღონისძიებები

სამეცნიერო მიმართულებების მონიტორინგი, მათი პერსპექტივების, მნიშვნელობისა და წარმატებული რეალიზაციის შესაძლებლობის შეფასება:

- სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო მიმართულებების ერთიანი ბაზის შექმნა;

- სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების მეშვეობით;

- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სამეცნიერო აქტივობის რეიტინგის შედგენა. სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა;

- სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურად ჩართული სტუდენტების მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება;

- სტუდენტთა სამეცნიერო კლუბების შექმნა;

- სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით სამეცნიერო-პოპულარული ლექციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება;

- სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტთა ჩართვის და წახალისების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებში სწავლის გაგრძელების სურვილის გაღვივება;
- სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო რესურსების განსაღვრა და მოძიება, ამ რესურსებთან რეგლამენტირებული ხელმისაწვდომობის პირობების ფორმირება;
- სამეცნიერო-კვლევითი (მათ შორის, საერთაშორისო) კონფერენციების, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარების და ტრენინგების ჩატარება სასწავლო უნივერსიტეტის რესურსების გამოყენებით;
- სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების და მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი თემატური ლექციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება;
- მეცნიერების მიღწევების და ინოვაციების დანერგვა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო უნივერსიტეტში პერიოდული სამეცნიერო-ტექნიკური კრებულების გამოცემა;
- სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურად ჩართული სტუდენტების და პერსონალის წახალისების მექანიზმის შემუშავება;
- სამეცნიერო მუშაობის შედეგის საზღვარგარეთის გამოცემებში გამოქვეყნების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფასთან დაკავშირებული ანალიტიკური კვლევებისა და წინადადებების შემუშავება;
- ინოვაციური პროექტების ნუსხის შედგენა, მათი აქტუალობის მარკეტინგული შესწავლა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი, საორგანიზაციო და მეთოდური უზრუნველყოფის დოკუმენტაციის შემუშავება;
- ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის სისტემის შემუშავება და განვითარება;

- სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ღონისძიებების შეიმუშავება-განხორციელება სასწავლო უნივერსიტეტის საკადრო პოტენციალის განვითარებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მიზნით.

სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიური ადჟურვა:

- თანამედროვე ხელსაწყოების და მოწყობილობების შეძენა და მონტაჟი;
- ინოვაციური პროექტების საინფორმაციო ბაზის შექმნა.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები
- სასწავლო უნივერსიტეტში მსოფლიო სამეცნიერო და კვლევითი სფეროების პრიორიტეტული მიმართულებების, მეცნიერული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პერსონალის კვლევითი აქტივობის განვითარება, მათი პუბლიკაციების, საგრანტო და სხვ. აქტივობის გაზრდა;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო ორგანიზაციებთან და სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორებთან ერთობლივად შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ინტეგრირებული სტრუქტურების და პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განვითარება; • სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების და ინოვაციური კვლევების შედეგების გათვალისწინება;
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა %-ში (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების საერთო რაოდენობასთან თანაფარობა);

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ რეფერირებად, მათ შორის საერთაშორისო, ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა;

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სა-ხელ-მძღვა-ნელოების, მონოგრაფიების და ა.შ. რაოდენობა;

- სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოების რაოდენობა, რომლებიც სრულდება სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების გამოყენებით.

3. სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანი

ზნეობრივი, სამოქალაქო-პატრიოტული, ესთეტიკური, ეკოლოგიური აღზრდის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პრო-პა-განდის, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიზნით სტუდენტებსა და ბნსუ-ს თანამშრომელთა შორის კეთილგანწყობის და თანამშრომლობის ურთიერთობის პირობების შექმნა.

პროგრამის ამოცანები

- სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს ფორმირება, რომელიც უმყარეა ლექტორსა და სტუდენტს შორის პარტ-ნი-ო-რულ ურთიერთობებზე, ურთიერთპატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე;

- კორპორატიული კურტურის, როგორც ღღირებულებათა სისტემის, ჩამოყალიბება და განვითარება;

- სასწავლო უნივერსიტეტში პირობების შექმნა სტუდენტთა ინტელექტუალური განვითარების, სამოქალაქო პო-ზიციის, საუკეთესო ადამიანური და სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების მიზნით;

- სასწავლო უნივერსიტეტში სააღმზრდელო გარემოს ფორმირება: სასწავლო უნივერსიტეტის ტრა-დიციების მხარ-დაჭერა, სააღმზრდელო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, კულტურულ, სპორტულ და სხვ. არასასწავლო საქმიანობაში სტუდენტების აქტიური ჩართვა;

- ბნსუ–ს სტუდენტების და თანამშრომლების ზნეობრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა;

- სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა;

- ინტელექტუალური შრომის სოციალური სტატუსის ამაღლება;

- სოციალური დაცულობის, სამართლისნობის, თანასწორობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების და–მკვიდ–რება;

- სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავება.

გასატარებელი ღონისძიებები

პირველი კურსის სტუდენტების ადაპტაცია:

- სასწავლო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტების ადაპტაცია;

- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრეინინგები პირველკურსელების მონაწილეობით; • სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა;

- სტუდენტებისათვის საზოგადოების წარმომადგენლებთან, ცნობილ ადამიანებთან და სხვ. შეხვედრების მოწყობა;

- სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით და ა.შ. საქმიანობაში სტუდენტების ჩართვა და მათი მონა–წი–ლეობით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება;

- პირველი კურსის სტუდენტებისთვის ადაპტაციის პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

- პირველი კურსის სასწავლო ჯგუფებში ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილურობაზე მიმართული ფსიქოლოგების მუშაობა, სტუდენტების ურთიერთგაცნობაზე და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართული ტრეინინგების ჩატარება;

- პირველი კურსის სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების ახსნა–განმარტება;

- სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობა სასწავლო პროცესთან სტუდენტების ადაპტაციის მიზნით;

- სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის საორგანიზაციო-ფსიქოლოგიური სემინარების/ ტრენინგების რეგულარული ჩატარება.

სტუდენტებში პატრიოტული სულისკვეთების, სამოქალაქო აქტივობის, ტოლერანტობისა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა:

- პატრიოტიზმის, სამოქალაქო აქტივობის, ტოლერანტობის და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება და დამკვიდრება;

- კულტურული ღონისძიებების, კონკურსების, ვიქტორინების, ოლიმპიადების და სხვ. ჩატარება;

- საქართველოს ისტორიული ადგილების მონახულება, ექსკურსიების მოწყობა;

- შეხვედრების და შემეცნებითი ლექციების ჩატარება სამოქალაქო, პატრიოტულ და სამართლებრივ თემატიკაზე;

- პატრიოტული აღზრდის ტრადიციების გაგრძელება, სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა;

- პატრიოტული კლუბის მუშაობის პროგრამის დამტკიცება.

ცხოვრების ჯანსაღი წესის კულტურის ფორმირება:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროგრამის რეალიზაცია;

- სტუდენტების ინტერესების შესაბამისი სპორტული სექციების ამუშავება;

- სპორტული ჩეჯიბრებების და ღონისძიებების ჩატარება სტუდენტების მონაწილეობით;

- შეხვედრები ახალგაზრდობის აქტუალური პრობლემების (მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკოდამოკიდებულება და ა.შ.) განხილვის მიზნით;

- თემატური საუბრების ჩატარება, შეხვედრები სპეციალისტებთან (მედიკოსებთან, ფსიქოლოგებთან და სხვ.), ტრენინგების მოწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩამოყალიბების მიზნით;

ზნეობრივი და ესთეტიკური თვისებების ფორმირება:

- კულტურის, ზნეობის და ტოლერანტობის საკითხებზე დისკუსიების და თემატური შეხვედრების მოწყობა;

- სტუდენტებისა და თანამშრომლების მონაწიეობით კონკურსების, გამოფენების, ფესტივლების ორგანიზება;
- შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან (კულტურისა და ხეორვნების მოღვაწეებთან, ბნსუ–ს კურსდამთავრებულებთან და სხვ.);
- ექსკურსიების მოყობა საქართველოს ისტორიული ადგილების მოსანახულებლად;
- სასწავლო უნივერსიტეტის როლის გაზრდა სტუდენტების მიერ საქართველოს ისტორიული, კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრების გაცნობიერების კუთხით.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როლის გაზრდა:

- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება საბიბლიოთეკო საქმეში;
- არსებული საბიბლიოთეკო აღჭურვილობის მოდერნიზება, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და საერთაშორისო სბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანება მსოფლიო საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდის შევსება და ელექტრონული სამკითხველო დარბაზის შექმნა; • სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების შრომის ნაყოფიერების და ეფექტურობის გაზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების ეფექტურობის გაზრდა ინფორმაციის მიწოდების პროცესის გაუმჯობესების, ელექტრონული ბაზის შევსებისა და ხელმისაწვდომობის, თანამედროვე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების გამოყენების საშუალებით;
- სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების საინფორმაციო და საბიბლიოთეკო უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი აქტივობის სტრუქტურების აქტივიზაცია:

- სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტების გამოვლენა;
- სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზებაში არსებული პრობლემების კვლევა და განხილვა დისკუსიების, შეხვედრების და კონფერენციების ფორმატში;

- სხვადასხვა ამოცანების (სასწავლო, სპორტული, სოციალური და ა.შ.) გადაწყვეტაში სტუდენტების ჩართვა;

- სოციალური მნიშვნელობის აქციებში და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში სტუდენტების მონაწილეობა;

- სტუდენტების სასწავლო უნივერსიტეტის ცხოვრებაში მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა.

სასწავლო უნივერსიტეტის კორპორატიული პოლიტიკის აქტუალიზაცია:

- კორპორატიული პოლიტიკის აქტუალიზაცია;

- კორპორატიული პოლიტიკის გეგმის შემუშავება და განხორციელება;

- კორპორატიული პოლიტიკის სისტემის სრულყოფის მექანიზმებს შემუშავება;

- საიუბილეო კონფერენციების, კონცერტების, გამოფენებისა და საღამოების მოწყობა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების და თანამშრომლების მონაწილეობით;

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის და თანამშრომლის დადებითი იმიჯის ფორმირება, კორპორატიული კულტურის დახვეწა, მათ შორის ვიზუალური მხარე, სამუშაოს შესრულების ხარისხი, ქცევა და სხვ.

სასწავლო უნივერსიტეტის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება:

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განახლება;

- რეკრეაციული ზონების ამოქმედება, სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის დასვენების კომფორტული პირობების შექმნა და ხელმისაწვდომობა;

- მედ.პუნქტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და განახლება.

პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;

- ადამიანური რესურსები;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- პირველი კურსის სტუდენტებისთვის ახალ კოლექტივთან და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის გაძმარტივება;
- სტუდენტებში მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება;
- სტუდენტების ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პრიორიტეტების ფორმირება და დანერგვა;
- სტუდენტების კულტურული დონის ამაღლება, მათ მიერ ქვეყნის ისტორიული, კულტურული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარება, ზნეობრივი და ესთეტიკური გამოცდილების დაგროვება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა; ელექტრონული მასალების და სხვადასხვა სახელმძღვანელოების შენახვა საბიბლიოთეკო ფონდებში;
- სტუდენტებში პროფესიული კომპეტენციების, პირადი თვისებების (ლიდერობის, საორგანიზაციო და ა.შ.) ფორმირება, რაც აუცილებელია მათი ეფექტური პროფესიული საქმიანობისათვის. პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები
- კონფერენციების, ფორუმების, სემინარების და ტრენინგების რაოდენობა;
- შემუშავებული და გამოცემული მეთოდური მასალების რაოდენობა;
- ყოველწლიურად ჩატარებული სადღესასწაულო ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებული ექსკურსიების რაოდენობა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე და სტუდენტების ფსიქოლოგიური ლაბილობის პროფილაქტიკაზე მიმართული ღონისძიებების რაოდენობა.

4. საინფორმაციო საქმიანობის განვითარების პროგრამა პროგრამის

მიზანი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხაისხის გაზრდა საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ინოვაციების გამოყენების შედეგად;

პროგრამის ამოცანები

- Internet/intranet ქსელებთან გარე წვდომის არხების გაფართოება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მაღალი სიჩქარით მონაცემებს გადაცემის და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;
- სასწავლო უნივერსიტეტის კორპორატიული ქსელის განვითარება და სრულყოფა კომპიუტერული კომუნიკაციების შესაძლებლობების დანერვისა და აქტიური გამოყენების მიზნით;
- ერთიანი ინტეგრირებული კომპიუტერული, პროგრამული და საინფორმაციოსალეკომუნიკაციური გარემოს ჩამოყალიბების მხარდაჭერა და განვითარება საგანმანათლებლო საქმიანობის, ტრენინგებისა და სამეცნიერო კვლევების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით;
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო გარემოს ტექნიკური და პროგრამულ-საინფორმაციო საშუალებების სისტემატური მოდერნიზება;
- ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და გამოყენება;
- სასწავლო უნივერსიტეტში საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის ორგანიზება და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო საქმიანობის ელექტრონული რესურსებით მსოფლიო მოწინავე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მონიტორინგი;
- სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ამუშავება;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო წიგნიერების ამაღლების სისტემის რეალიზება;
- საგანმანათლებლო პროცესში სწავლების ინოვაციური ფორმების გამოყენება (ტელეკონფერენციები, ლექციები ვიდეო-კონფერენციის რეჟიმში, ორლაინ-დისკუსიები და სხვ.);
- ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზაზე საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერი ინოვაციური სისტემის ნორმატიულ-სამართლებრივი, სამეცნიერო-მეთოდური და საორგანიზაციო საფუძვლების დანერგვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის სრულყოფა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.

გასატარებელი ღონისძიებები სასწავლო უნივერსიტეტის მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის სრულყოფა:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემის მიზნით საქმის წარმოების სისტემისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია;
- საქმის წარმოების ოპტიმიზაციის მიზნით დოკუმენტაციის უნიფიცირებული ფორმების შემუშავება და საინფორმაციო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების სრულყოფა:

- სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის, სასწავლო პროცესის (ლექციები, ტესტირებები, გამოცდები და სხვ.) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ელექტრონული ცხრილების, გამოცდების, უწყისების და სხვ. დანერგვა;
- თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების და კონკურენტული სასწავლო კურსების სფეროს შესაბამისად;
- აუდიტორიების აღჭურვა მულტიმედიის საშუალებების სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით;
- ბნსუს კორპორატიული ქსელის მოდერნიზება და განვითარება თანამშრომლების, ლექტორების და სტუდენტების-სთვის საინფორმაციო და ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- კომპიუტერული ტექნიკის და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა;
- ბნსუს გაზრდილი საჭიროების შესაბამისად ინტერნეტ-რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო, სასწავლო, სამეურნეო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა:
- ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა და დანერგვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ შემოსული და გასული ინფორმაციის ანალიზი და მისი სისტემატიზაცია;

- მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, მისი სტრუქტურის და შევსების რეგლამენტის შემუშავება და გამოყენება ინფორმაციის გამოტოვების ან დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;

- სასწავლო უნივერსიტეტის და სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების ოპერატიული მართვის პროგრამების შექმნა/შეძენა, დანერგვა და გამოყენება. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო გარემოს განვითარება:

- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, დანერგვა და გამოყენება;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების ადმინისტრირება და მათი მუშაობის რეგლამენტირება; • დისტანციური განათლების სისტემის შემოღება;

- სასწავლო პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემის შემოღება:

- სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების სისტემატური გადამზადების ორგანიზება თანამედროვე პროგრამული პროდუქტების და ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით. პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;

- ადამიანური რესურსები;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება;

- სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა;

- ბნსუ-ში ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცრნეო პროცესების ოპერატიული მართვის გაუმჯობესება;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების წვდომის გაუმჯობესება და მათი გამოყენების შეუზღუდავად ხელ-მი-საწვდომობა;
- ბნსუ-ს თანამშრომლების ერთობლივი მუშაობა ვებ-გვერდზე განთავსებული მა-სალების გა-ნახ-ლების და შევსების მიზნით;
- სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსების უსაფრთხოების და განაწილების ერთიანი მართვა. პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები
- განახლებული პროგრამული, საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების გა-ნახ-ლე-ობის, შეძენისა და გამოყენების მონიტორინგის შედეგები;
- სასწავლო პროცესის მულტიმედიური მოწყობილობით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვის, თანამედროვე ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მონიტო-რინ-გის შედეგები;
- ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულებს შორის ეფექტური დაკავშირების მიზნით გამოყენებული სა-ინ-ფორ-მაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის მო-ნი-ტო-რინ-გის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში იმ აკა-დემიუ-რი/მოწვეუ-ლი პერსონალის წილი, ვინც სასწავლო პროცესში იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექ-ნო-ლო-გი-ებს;
- აკადემიუ-რი/მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომლებმაც აიმაღლეს თავიანთი კვალიფიკაცია საინ-ფორ-მა-ციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში;

5. სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა

პროგრამის მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტში ეფექტური საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა და საერთაშო-რისო სა-მეც-ნი-ე-რო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

პროგრამის ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია, სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა მო-ზიდვა და სტუ-დენტების სა-უ-კეთესო კონტინგენტის ფორმირება;

- სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების, უწყვეტი, სტაბილური გა-ნათ-ლების სისტემის ჩამოყალიბება;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ამ პროცესის გაფართოება;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ბნსუ-ს სპეციალისტების გაცვლითი პროექტების ამოქმედება მათი კვალიფიკაციის ამაღლების და საგანმანათლებლო პროცესში მოწინავე გამოცდილების და-ნერგვის მიზნით;
- უცხოელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, ტრეინინგების, სემინარების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სასწავლო უნივერსიტეტის სახელით პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით.

გასატარებელი ღონისძიებები

სასწავლო უნივერსიტეტში სწავლისა და სტაჟირების პოპულარიზაცია:

- საქართველოში და საზღვარგარეთ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით სა-ზო-გადოებასთან ურთიერთობების და კავშირების გაძლიერება, სარეკლამო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის რეკლამირებისა და PR ღონისძიებების ცატარების მიზნით;
- საზოგადოებასთან კავშირების განვითარება ბნსუ-ს პოპულარიზაციის მიზნით;

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ხელეწყობა, ურთიერთგაცვლითი პროგრამების განხორციელება, უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა:

- უცხოელ პარტნიორებთან და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სწავლებისა და სტაჟირების ხელშეკრულებების გაფორმება და განხორციელება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მონაწილეობა საგრანტო და სხვა პროექტებში, რომლებიც სტუდენტების გაცვლით პროგრამებთან არის დაკავშირებული;

- უცხოეთის ქვეყნებში საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;
- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საქმიანობის მონიტორინგი ანალოგიური პროფილის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში მსოფლიო გამოცდილების და ნოვაციების ხელმისაწვდომობის საინფორმაციო მხარდაჭერა;
- სასწავლო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების ჩატარების მხარდაჭერა;
- უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვის და ჩატარების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო გრანტების მომზადებაში დახმარება და საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სასწავლო უნივერსიტეტში თანამშრომლებისა და სტუდენტების უცხო ენების გაძლიერებული სწავლების ორგანიზება ენის მარატარებლების მონაწილეობით.

პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა:

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები
- სასწავლო უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- მსგავსი პროფილის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების განხორციელება და სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნა;

- სასწავლო უნივერსიტეტში უწყვეტის განათლების სისტემის ჩამოყალიბება და საგანმანათლებლო პროცესის წარმატება მსოფლიო ტენდენციებისა და ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება და ახალი ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება უცხოეთის მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინებით;
- სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული საზღვარგარეთ სტაჟირება-გავლელი აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა;
- საერთაშორისო გრანტების მომზადებასა და რეალიზაციაში ჩართული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა;
- საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის შესაბამისობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტშია შემუშავებული;
- უცხოურ ენაზე განხორციელებული პროგრამების რაოდენობა;
- უცხოურ ენაზე განხორციელებული სასწავლო კურსების რაოდენობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო პროგრამების რაოდენობა, რომლებშიც სასწავლო უნივერსიტეტი მონაწილეობს;
- სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად ქართულ/უცხოურ ენებზე გამოცემული სახელმძღვანელოების და პუბლიკაციების რაოდენობა;
- საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების და სხვ. რაოდენობა, რომლებშიც სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობდნენ მისი წარმომადგენლები;
- საერთაშორისო გრანტების მომზადებაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა;

- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად/სტაჟირებაზე გაგზავნილი სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობა.

6. განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანი

სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ისეთი სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების მუდმივად მიმდინარე პროცესების, ხარისხიანი განათლების ხელ-მი-სა-წვდომობას და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის ამოცანები

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის ანალიზი, მისი შედარება წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულთან. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის და სტრატეგიის ფორმირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სტანდარტების, სწავლის/სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე. სასწავლო უნივერსიტეტში განათლების მენეჯმენტის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;

- სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მისი ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

- სრულყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-შემოწმება;

- აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების კვალიფიკაციის შეფასება, მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგი;

- განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, დანერგვა, რეალიზაცია და მათი ეფექტურობის შესწავლა;

- სტუდენტთა განათლების ხარისხზე სასწავლო პროცესის ორგანიზების გავლენის შეფასება;

- სასწავლო პროცესთან და განათლების ხარისხთან დაკავშირებული პროცესების მენეჯმენტი;

- საქართველოში და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სტანდარტებთან სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების,

სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა.

გასატარებელი ღონისძიებები

- განათების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მართვის სისტემის შემუშავება, რომელიც იქნება უნიფიცირებული და გამჭვირვალე როგორც ბნუსთანამშრომლებისთვის, ისე სტუდენტებისათვის;

- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება, რომლებშიც იქნება გათვალისწინებული განათლების სფეროში როგორც არსებული, ისე მოსალოდნელი (პროგნოზირებული) მოთხოვნები;

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხარისხიანის განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. განათლების ხარისხის მიმართ სტუდენტების მოთხოვნების, მოლოდინების და დამოკიდებულებების შესწავლა და ანალიზი;

- სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების გამოკითხვა, როგორც ანკეტირების, ისე ინტერვიუს გზით;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - მოახდინე რეაგირება" (PDCA – plan-do-check-act) პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვით

: • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დეტალურად გეგმავა;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იმის განსაზღვრავა, თუ რომელი ასპექტები, რა თანმიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების კრიტერიუმების შემუშავება სასწავლო პროცესისა ან/და შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების პროცედურების შემუშავება და მონიტორინგის ჩატარება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და განრიგის მიხედვით;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვის ჩატარება სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასების მიზნით;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის (აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები) ანონიმურ გამოვლითხვის ჩატარება;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზებს მონიტორინგის შედეგებს შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს, ამოწმებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების ჩატარებას და მათ შედეგიაზრობას;

- საგანმანათლებლო სფეროში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება;

ი საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები (მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან; სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების მიზნებისა და დასახული შედეგების ურთიერთშესაბამისობა და მიღწევადობა; საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი თანმიმდევრობა და ლოგიკა, ვითარდება თუ არა სასწავლო კურსების შინაარსი თანმიმდევრულად ზოგადიდან უფრო

კონკრეტულამდე, საბაზოდან - სპეციალობამდე; სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიის შესაბამისობა სასწავლო კურსის/მოდულის სმიზნებთან, სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა, პროცედურები და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის შედეგად მისანიჭებელი ხარისხისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან/დარგობრივ მახასიათებელთან და სხვ.);

ი სასწავლო პროცესი (მათ შორის: სასწავლო პროცესის ორგანიზების

რაციონალურობა; სასწავლო პროცესის წარმართვა საგანმანათლებლო

პროგრამების კურიკულუმების (სასწავლო კურსების სილაბუსების)

შესაბამისად; უზრუნველყოფს თუ არა სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; არის თუ არა

გამოყენებული შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური მეთოდები; რამდენადაა

სასწავლო მასალა დაფუძნებული მიმართულების/დარგის აქტუალურ

მიღწევებზე და უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამით დასახული

სწავლის შედეგების მიღწევას; როგორია გამოცდების ტიპი და დონე; არის თუ

არა უზრუნველყოფილი უკუგება სტუდენტსა და მასწავლებელს შორის მიღწეული

შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით; არსებობს თუ არა

მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტებისთვის და სხვ.)

ი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები (მათ შორის: შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პედაგოგიურ/დიდაქტიკური კვალიფიკაციები და გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას პროგრამის მიზნებთან მიმართებით; სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლის პედაგოგიური თვისებები (არის თუ არა ლექტორი სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი და ობიექტური, სწავლის შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით ზრუნავს თუ არა სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებაზე, იყენებს თუ არა საკონტაქტო დროს სრულად და რაციონალურად, არის თუ არა ორიენტირებული სასწავლო პროცესში სტუდენტთა უფრო აქტიურ ჩართულობაზე, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარება-სრულყოფაზე და იყენებს თუ არა თანამედროვე სწავლის მეთოდებს სასწავლო კომპონენტში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, არის თუ არა მის მიერ გამოყენებული სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალე და ობიექტური; ცოდნის შეფასების კრიტერიუმები მიღწევას და ა.შ.); ზრუნავს თუ არა საკუთარი კომპეტენციების სრულყოფაზე - იცის დაზარალების თანამედროვე საერთაშორისო ასპექტები, ფლობს ინფორმაციას ინოვაციური კვლევების შედეგებისა და არსებული ტენდენციების შესახებ მათი პედაგოგიური თვისებები და სხვ.)

ი მატერიალური რესურსები (მათ შორის: რა რესურსები და ინფრასტრუქტურა არის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და რამდენადაა ის ხელმისაწვდომი; ხდება თუ არა ინფრასტრუქტურის განახლება და მატერიალური რესურსების შევსება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად; ხდება თუ არა საბიბლიოთეკო ფონდის დანახლება და შევსება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე სახელმძღვანელოებით, არის თუ არა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეუზღუდავად ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის; რამდენად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებისათვის და რამდენად შეესაბამება პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას და სხვ.)

პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- საკადრო რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, რომლებიც უნდა ემსახურებოდეს ზნეობრივად, ინტელექტუალურად, პროფესიულად და ფიზიკურად მომზადებული, პატრიოტული სულისკვეთების მქონე კადრების და სტრატეგიულად მოაზროვნე მომავალი ლიდერების აღზრდას და ამგვარად ღირსეული წვლილის შეტანას ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის საქმეში;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სასწავლო პროცესის წარმართვა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობა და კვლევა, სწავლებასა და ინოვაციებს შორის კავშირის გაძლიერება;
- სტუდენტებში სწავლის მიმართ სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სტუდენტებისათვის მოქნილი და შემოქმედებითი სასწავლო გარემოს შექმნა;
- სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა პედაგოგიური და ორგანიზაციული ასპექტების შერწყმის შედეგად;
- სწავლის პროცესში სტუდენტების პიროვნული განვითარების, მოქალაქეობრივი ღირებულებების, პატრიოტული სულისკვეთების განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლისას სტუდენტების ისეთი კომპეტენციების მიღწევის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიულ საქმიანობაში კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების სრული რეალიზაციისა დაწარმოებულ კარიერული წინსვლის შესაძლებლობას;
- შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადება;
- "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" (LifeLongLearning) კონცეფციის შესაბამისად პიროვნების ინტერესების შესატყვისი განათლების მიღების, მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სრულყოფის, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;
- უწყვეტი განათლების (Continuing Education) კონცეფციის თანახმად კურსდამთავრებულებში საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის,

ინოვაციების გაზიარების დასწავლის შემდგომი გაგრძელების მოტივაციის ჩამოყალიბება;

- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა მიმზიდველი და რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით;

- ბოლონის პროცესის მიერ შემოთავაზებული საშუალებების და მექანიზმების სრულფასოვანი გამოყენების შედეგად ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;

- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების/განათლების ხარისხის აღიარება;

- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად განხორციელებული პროგრამები რაოდენობა;

- განათლების და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლებით, ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი საქართველოში და საზღვარგარეთ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების რაოდენობა (განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთა წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში).

7. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა; საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მატერიალურ-რეჟინიკური უზრუნველყოფა.

პროგრამის ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და განვითარება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაფინანსების სისტემის ოპტიმიზაცია;
- არსებული აღჭურვილობის და მოწყობილობების ექსპლუატაციის პირობის გაუმჯობესება ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციის და რაციონალურად გამოყენების საფუძველზე;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. გასატარებელი ღონისძიებები
- სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი შევსება-განახლება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციური, აღმზრდელობითი და სოციალურ-კულტურული განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სარემონტო სამუშაოებთან და მოდერნიზებასთან დაკავშირებული საპროცედურო დოკუმენტაციის შემუშავება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სარემონტო სამუშაოები, სააუდიტორიო და ლაბორატორიული ფონდების, ბიბლიოთეკის, სასწავლო უნივერსიტეტის სოციალური ინფრასტრუქტურის) მოდერნიზების ჩასატარებლად განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის და საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება; შემუშავებული გეგმის შესაბამისად სარემონტო სამუშაოების, სააუდიტორიო და ლაბორატორიული, ფონდის, ბიბლიოთეკის, ბნსუს სოციალური ინფრასტრუქტურის შეკეთებისა და განახლების სამუშაოების განხორციელება;
- სასწავლო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარეო რემონტი;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფართის კაპიტალური და მიმდინარეო რემონტი და მოდერნიზება – თანამედროვე აღჭურვილობის დამონტაჟება, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და თანამედროვე მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაღალ ხარისხს და მის ხელმისაწვდომობას ლექტორებისა და სტუდენტებისათვის;
- სასწავლო აღჭურვილობის განახლების პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება და განვითარება, თანამედროვე მოთხოვნათა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;

- სასწავლო უნივერსიტეტის სოციალური ინფორმაციის მოდერნიზება და სოციალური ინფორმაციის სტრუქტურის ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, სტუდენტებისთვის სწავლის, დასვენების, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;

- ადამიანი რესურსები;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აუდიტორიებისა და ლაბორატორიების აღჭურვა და მათი რაოდენობის გაზრდა, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა;

- სტუდენტების და თანამშრომლების უსაფრთხოების გაზრდა;

- სტუდენტებისთვის სწავლისა და დასვენებისათვის პირობების გაუმჯობესება. პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტში შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარეო რემონტისა და მოდერნიზების დაფინანსების ოდენობა;

- ტექნიკური აღჭურვილობის შეკეთების, განახლების და დამონტაჟების დაფინანსების ოდენობა;

- სასწავლო უნივერსიტეტში სოციალური სტრუქტურის კაპიტალური და მიმდინარეო რემონტისა და მოდერნიზების დაფინანსების ოდენობა.

8. PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა

პროგრამის მიზანი

- სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ სრული, მრავალფეროვანი და სანდო ინფორმაციის შექმნა და გავრცელება;

- სასწავლო უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის შექმნა და გალიერება;

- მკაფიო საინფორმაციო მიმართულებების შექმნა, საინფორმაციო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება და რეალიზება;

- სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ ინტერესის ფორმირება აბიტურიენტებისა და საზოგადოების მხრიდან; სტუდენტების დაინტერესების მხარდაჭერა. პროგრამის ამოცანები

- PR –კამპანიების და სარეკლამო აქციების ორგანიზება და ჩატარება;

- სხვადასხვა პროგრამებში და ღონისძიებებში მასშტაბური მონაწილეობა, რომლებიც ემსახურება სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის პროპაგანდას;

- სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ღონისძიებების საინფორმაციო და იდეოლოგიური უზრუნველყოფა;

- სასწავლო უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ამსახველი სა-მეც-ნიერო კრებულების გამოშვება, პუბლიკაციების, სტატიების და სხვ. გამოქვეყნება;

- პრეს-კონფერენციების, მიღებების, ოფიციალური ღონისძიებების და სხვ. ჩატარება;

- სასწავლო უნივერსიტეტის სიმბოლიკით სარეკლამო ბეჭდვითი და სხვა პროდუქციის გამოშვება;

- ბნსუ-ს პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ბეჭდვითი გამოცემებისა (საინფორმაციო, სარეკლამო და სხვ. ბუკლეტების მომზადება და გავრცელება) და ინტერნეტ-ქსელების მეშვეობით;

- სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მხარდაჭერა, კინო-, ვიდეო-, აუდიო- და ფოტოგადაღებების ჩატარება და გავრცელება;

- სასწავლო უნივერსიტეტის და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების და სატელევიზიო სიუჟეტების ჩაწერა და ანალიზი;

- სასწავლო უნივერსიტეტის საიტის განახლება და მხარდაჭერა;

- სასწავლო უნივერსიტეტში მონაცემთა ბაზის შემუშავება და მუმივი განახლება;

- სასწავლო უნივერსიტეტში სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების, სადისკუსიო კლუბების, შეხვედრების და სხვ. ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

- სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების, სკოლის მოსწავლეების, საზოგადოების წარმომადგენლების და სხვ. მოწვევა;

- პრეს-რელიზების მომზადება;
- ბნსუ-ს შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალების მიმოხილვა და ანალიზი.

გასატარებელი ღონისძიებები სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, იმიჯის ფორმირება:

- სასწავლო უნივერსიტეტის იმიჯის შემდგომი განვითარებების მიზნით ბნსუ-ს სტუდენტების და ლექტორების ანკეტირება/გამოკითხვა მათი აზრის გავოკვლევის მიზნით;
- ბნსუ-ს იმიჯის შექმნაზე მიმართული სპეციალური ღონისძიებების კონცეფციების შემუშავება;
- ბნსუ-ს შესახებ დადებითი პუბლიკაციების და სატელევიზიო სიუჟეტების რაოდენობის გაზრდა;
- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო პუბლიკაციების და სიუჟეტების რაოდენობის ზრდის ინიცირება;
- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით იმიჯის სასწავლო უნივერსიტეტის როგორც "შემოქმედებითი, ინოვაციური, დინამიურად განვითარებადი და პრესტიჟული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება" ფორმირება;
- სპეციალური ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის იმიჯის შექმნაზე მიმართული ღონისძიებების შედეგების ანალიზი და შეფასება.

წარმატებული ბრენდის ფორმირება და ეფექტური მართვა:

- ბრენდის ფორმირების პროგრამის შექმნა და რეალიზება;
- "იდეალური საგანმანათლებლო დაწესებულების" შესახებ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლებისა და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა და გათვალისწინება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბრენდის პროგრამის შემუშავებისას;
- წარმატებული ბრენდის ფორმირება და ეფექტური მართვა;

- მომხმარებლის მოთხოვნების, საგანანათლებლო და შრომის ბაზრების მახასიათებლების ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება, ანალიზი და ბრენდის ფორმირების პროგრამაში აუცილებელი ცვლილებების შეტანა;
- საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლის, დამსაქმებლების და დაინტერესებული პირების ინფორმირების მოქნილი სისტემის შექმნა;
- მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების ურთიერთკავშირის და უკუგების შესწავლა. სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული PR-კამპანიების და სარეკლამო აქციების ჩატარება
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის ოპერატიული განახლება, აქტუალური და პოტენციური სტუდენტებისთვის საინტერესო ინფორმაციის განთავსება;
- აბიტურიენტების სასწავლო უნივერსიტეტში სწავლით დაინტერესებაზე მიმართული ღონისძიებების (სპეციალობების პრეზენტაცია, "პირველკურსელის დღე", "ღია კარის დღე", თემატური სემინარები, კონფერენციები და შეხვედრები) დაგეგმვა, ჩატარება და შედეგების ანალიზის საფუძველზე შემდეგი ღონისძიებების დაგეგმვა;
- ბნსუ-ს სტუდენტებისთვის ინტერერ-გაზეთის შექმნა, ამ პროცესში სტუდენტების აქტიური ჩართვა.

პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები
- წარმატებული PR-ინფრასტრუქტურის შექმნა და სტრატეგიების შემუშავება;
- სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული თანამედოვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, იმიჯის შექმნა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მარკეტინგული კომუნიკაციების ინტეგრირება;

- სასწავლო უნივერსიტეტის მოწინავე საგანმანათლებლო, სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბების და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოწინავე პოზიციების დაკავების შესაძლებლობა. პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- ჩატარებული PR-ღონისძიებების რაოდენობა;

- ჩატარებულ PR-ღონისძიებების მომზადებაში და ჩატარებაში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობა

- PR-ღონისძიებების მომზადებაში და ჩატარებაში მონაწილე Pდ-სპეციალისტების რაოდენობა;

- ჩატარებული PR-ღონისძიებების მენეჯმენტის და მიღწეული შედეგების ანალიზი.

III. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა აერთიანებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგრამებს, რომელთა შესრულებით იქნება უზრუნველყოფილი:

- სასწავლო უნივერსიტეტში უწყვეტი მრავალსაფეხურებრივი განათლების სისტემის შენარჩუნება და განვითარება;

- უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაზრდა;

- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მოდელის, მათ შორის დისტანციური განათლების ორგანიზების შედეგად;

- სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისად ახალის საგანმანათლებლო და ინოვაციური მიმართულებების სპეციალისტების მომზადების პროგრამების შექმნა;

- ბნსუ-ს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსური მიდგომების ჩამოყალიბება;

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მეცნიერების ინოვაციური და პრიორიტეტული მიმართულებების, ტექნიკის და ტექნოლოგიების მიღწევების გათვალისწინებით;

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, სტუ-დენტთა გაცვლითი პროგრამების და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა;

- სასწავლო უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების და პრო-ექტების განხორციელებაში;

- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

IV. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მართვა

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებას, განსაზღვრავს ამ პროცესის მართვის ფორმებს და მეთოდებს, პასუხისმგებელია განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და საბოლოო შედეგებზე. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით იქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის შემდგენლობაში შედიან: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, რექტორის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანები. საკოორდინაციო ჯგუფი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის აუცილებელი საორგანიზაციო და ფინანსური პირობების შექმნაზე, სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიანი (ერთწლიანი) გეგმის საფუძველზე ახორციელებს მიღწეული შედეგების მონიტორინგს, განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის სამსახურებს აძლევს რეკომენდაციებს, რომლებიც ფორმდება რექტორის განკარგულებით. რექტორის მოადგილეები ხელმძღვანელობენ სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების მიხედვით შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან: სასწავლო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები და სკოლების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფების რაოდენობას, მათი მუშაობის მიმართულებებს და შემადგენლობას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. რექტორის მოადგილეები (სტრატეგიული გეგმის ხელმძღვანელის მოადგილეები), თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველთვიურად ატარებენ სამუშაო თათბირებს, ახორციელებენ დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების კონტროლს, განვითარების სტრატეგიულ გეგმაში შემავალი განვითარების პროგრამებისა და სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიანი (ერთწლიანი) გეგმის შესრულების მონიტორინგს,

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული ერთეულების მიერ კალენდარული წლის დასაწყისში წარმოდგენილი ყოველწლიური სამუშაო გეგმების საფუძველზე ამზადებენ ბნსუს განვითარების მოკლევადიან (ერთწლიან) გეგმას და ყოველწლიურ შემაჯამებელ ანგაზის შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომლებსაც განიხილავს და ამტკიცებს ბნსუს აკადემიურ საბჭო.

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა ძალაში შედის პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებისთანავე;
2. სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე გეგმას. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
3. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმის მუხლებს წინამდგრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
4. განვითარების სტრატეგიული გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორის წარდგინებით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;
5. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა იმ საკითხში, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა ძალას კარგავს ახალი განვითარების სტრატეგიული გეგმა დამტკიცების შემთხვევაში.